

ნიკოლოზ როგავა *
დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ
არსებული საზოგადოებრივი სკეპტიციზმი და
მისი განმაპირობებელი ფაქტორები
საქართველოში

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმისადმი სკეპტიკური განწყობების მიზეზების გამოვლენა. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, ფოკუს ჯგუფები და ექსპერტული ინტერვიუები. ნაშრომი ინსტიტუციური ნდობის თეორიულ ჩარჩოს ეყრდნობა და ხსნის, როგორ მოქმედებს ინსტიტუციური ნდობა საპენსიო რეფორმის მიმართ განწყობებზე. კვლევის ფარგლებში გამოყოფილია **დაშვება**, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი უნდობლობაა. კვლევას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართულ აკადემიურ სფეროში, ვინაიდან თემის გარშემო არსებული წყაროები ნაკლებადაა. კვლევის შედეგად საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი სკეპტიციზმის განმაპირობებელი სამი ძირითადი ფაქტორი გამოიკვეთა: ინსტიტუციური ნდობის ფაქტორი; უტილიტარული ფაქტორი; საინფორმაციო ფაქტორი; მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობით ნაკარნახები წინასწარი განწყობაა, რომელიც, თავის მხრივ, ისტორიული გამოცდილებისგან და პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობისგან ყალიბდება.

* პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრანტი, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი სკეპტიციზმი, დაგროვებითი საპენსიო სისტემა, ინსტიტუციური ნდობა, პოლიტიკური კულტურა.

შესავალი

სოციალური პოლიტიკა თანამედროვე სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი გახდა. კეთილდღეობა, სოციალური დაცვა, ღირსეული შრომა დემოკრატიათა ღირებულებად და სახელმწიფოს პასუხისმგებლობად იქცა (Esping-Andersen, 1990). წარმატებული სოციალური პოლიტიკა, არა მხოლოდ ინდივიდების კეთილდღეობას, არამედ, საზოგადოებრივ სიკეთეებსაც უზრუნველყოფს. განათლების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ბედნიერების ხარისხის ზრდაზე მას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს (Sen, 1999). საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი კი საპენსიო პოლიტიკაა. ვინაიდან მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა სახელმწიფოს გარკვეული ტიპის საპენსიო პოლიტიკა დანერგილი აქვს, მისი განვითარება, ახალი ტენდენციები და გამოწვევები **აქტუალობას** არ კარგავს. საპენსიო სისტემის მთავარი მიზანი ხანშიშესულთა სიღარიბის დაძლევაა, რადგან ამ ჯგუფის შრომისუნარიანობა შემცირებულია. შესაბამისად, მათ საბაზრო ეკონომიკაში ჩართვის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. (Kuitto, Madia & Podesta., 2023) საპენსიო სისტემა სოლიდარულობის ელემენტებს შეიცავს თუმცა, პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფის გარდა საპენსიო სისტემების მიზანი სოციალური, თაობათაშორისი თანასწორობის მიღწევა, ეკონომიკის მდგრადი განვითარება, ფორმალურ ეკონომიკაში ჩართვის წახალისება და ბაზრის მოქნილობაა (Barr, 2012).

საპენსიო სისტემამ თანამედროვე სახის მიღებამდე მრავალეტაპიანი ევოლუცია განიცადა. პირველ საპენსიო სისტემად ოტო ფონ ბისმარკის მიერ გატარებული რეფორმა მიიჩნევა (Baldwin, 1990). ეს იყო სოციალისტური მოძრაობების შესაკავებლად გატარებული რეფორმა, უნდა შეესუსტებინა პენსიონერთა საპროტესტო

განწყობა. აღნიშნული საპენსიო სისტემა ჯანმრთელობის დაზღვევას და პენსიის დანიშვნას მოიცავდა. ბისმარკის რეფორმის შემდეგ საპენსიო სისტემები მნიშვნელოვნად განვითარდა. სოციალური პოლიტიკის გარდამტეხი ეტაპი მეორე მსოფლიო ომი იყო, რომლის დასრულების შემდეგ შრომითი უფლებების დაცვის მოთხოვნა გაჩნდა. კეთილდღეობის პოლიტიკის **მნიშვნელობამ** საპენსიო პოლიტიკის დახვეწაც გამოიწვია. გაჩნდა ორი ძირითადი სახელმწიფო საპენსიო სისტემა: გადამანაწილებელი (Pay as you go) და დაგროვებითი (Funded). გადამანაწილებელი საპენსიო სისტემა ახალგაზრდების მიერ პენსიის გადახდას გულისხმობს, გადასახადების გზით; ხოლო დაგროვებითი, ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის შექმნასა და მასში თანხის ეტაპობრივ დაზოგვას მოიცავს (Schwarz, 2006).

საპენსიო პოლიტიკაზე, ეკონომიკური ფაქტორების გარდა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა დემოგრაფიულ ფაქტორებსაც აქვს. გაზრდილი სიცოცხლის ხანგრძლივობა, შობადობის შემცირება და ემიგრაციის მზარდი მაჩვენებელი შრომით ბაზარზე ნაკლებ შრომისუნარიან ადამიანს და პენსიონერთა გაზრდილ რაოდენობას იწვევს. სწორედ ამიტომ, 21-ე საუკუნეში ყველაზე მეტად შერეული, მრავალსაქმიანი საპენსიო სისტემებია გავრცელებული (Jacques, Leroux, & Stevanovic, 2021). ამ ტენდენციას საქართველოც შეუერთდა.

2018 წლამდე საქართველოში მხოლოდ გადამანაწილებელი სისტემა ფუნქციონირებდა, შემდეგ კი საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. მისი მეშვეობით ორსაქმიან საპენსიო სისტემაზე გადავიდა. ახალი რეფორმის დანერგვისთვის დამოუკიდებელი სსიპ-ი „საპენსიო სააგენტო“ შეიქმნა, ის ინვესტირების პროცესს აკონტროლებს და საინფორმაციო კამპანიას უძღვება. ახალი საპენსიო სქემა 2+2+2 სისტემით ფუნქციონირებს. დამსაქმებელი, დასაქმებული და სახელმწიფო დასაქმებულის შემოსავლის 2-2%-ს საპენსიო ფონდში შენატანების სახით რიცხავენ. აღნიშნულ სქემაში მონაწილეობა სავალდებულო 60

წლამდე ასაკის მამაკაცისა და 55 წლამდე ქალისთვის გახდა (პარლამენტი, 2018). მსგავსი ყოვლისმომცველი რეფორმის განხორციელებისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია.

თეორიული მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია

იმისათვის რომ ავხსნათ საქართველოს დაგროვებითი სისტემის მიმართ სკეპტიციზმის განმაპირობებელი ფაქტორები, რიგი სამეცნიერო ნაშრომების განხილვა და ანალიზია საჭირო. განხილული აკადემიური ლიტერატურა მიმოხილავს ინსტიტუციური ნდობის მნიშვნელობასა და ზეგავლენას საჯარო პოლიტიკაზე, და, ამავდროულად, აკავშირებს მას საქართველოს დაგროვებით საპენსიო სისტემასთან.

სტატიაში **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია ინსტიტუციური ნდობის თეორია. ის სოციალურ და ფსიქოლოგიურ საფუძვლებს იკვლევს, რომლებიც უზიძგებს ინდივიდებსა და ჯგუფებს მიმართონ და დაემორჩილონ ინსტიტუტებს, როგორიცაა მთავრობა, სასამართლო და სხვა სოციალური სტრუქტურები (Joxhe, 2022). ინსტიტუტებისადმი ნდობა სოციალური ერთობის, ეკონომიკური სტაბილურობისა და დემოკრატიის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტია (Bachmann, 2022). ინსტიტუციური ნდობა არა მხოლოდ ერთეულების კომპეტენციის რწმენას, არამედ მათ მოლოდინსა და კეთილგანწყობას მოიცავს. ლევიცკიმ და ბანკერმა (1996) ინსტიტუტებისადმი ნდობა ისტორიულ გამოცდილებას დაუკავშირეს. ნდობის ფორმირებაზე გავლენას პირდაპირი გამოცდილება, ინსტიტუციური ქცევის დაკვირვება, დაწესებულების საერთო რეპუტაცია ახდენს. ეს დინამიკური პროცესი, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდება, დამოკიდებულია დაწესებულების ქმედებების თანმიმდევრულობაზე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობაზე (Lewicki & Bunker, 1996).

ინსტიტუციური ნდობის საჯარო პოლიტიკური ეფექტები

პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა პოლიტიკურ დღის წესრიგს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომში „ნდობა: სოციალური სიკეთეები და კეთილდღეობის შექმნა“ აღწერს, რომ საზოგადოების ნდობის ხარისხი ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ ნორმებთან ღრმად არის გადაჯაჭვული. მისთვის, ნდობა რთულად ყალიბდება, ხანგრძლივი ტრადიციების, რელიგიური ხედვების, სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების ევოლუციითა და ისტორიული გამოცდილებით. მისთვის ნდობა არ არის სტატიკური მოვლენა, მეტიც ის ძალიან დინამიკური პროცესია და ზეგავლენას საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები და პროცესები ახდენს (Fukuyama, 1995).

ისტორიულ და კულტურულ კონტექსტთან ერთად, ნდობას მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც აყალიბებენ. ნაშრომში „ნდობა საზოგადოებაში“ ნაკვლევია მექანიზმები, რომლითაც ყალიბდება ინსტიტუციური ნდობა. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობა კვლევაში მრავალჯერა ხაზგასმული. როდესაც პოლიტიკური სუბიექტები პასუხობენ საზოგადოების საჭიროებებს, მოლოდინებს, უკუკავშირებს და იცავენ კანონის უზენაესობას ინსტიტუციური ნდობა იზრდება. ნდობა ინსტიტუციური ეფექტიანობის გადამწყვეტი ელემენტია და არა გვერდითი მოვლენა. შესაბამისად, ინსტიტუტებისადმი ნდობა საჯარო სამსახურს შესაძლებლობას აძლევს შეუფერხებლად იმუშაოს და მიაწოდოს მოქალაქეებს საჭირო სერვისები ორმხრივი თანამშრომლობის მეშვეობით. ინსტიტუტებისადმი ნდობის მაღალი ხარისხი ძლიერ სოციალურ ერთობასთან, კორუფციის დაბალ დონესთან და სამოქალაქო ჩართულობასთან ასოცირდება (Cook, 2001). ინსტიტუციურ ნდობას კი მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები აქვს. ის ეკონომიკურ გაცვლას უფრო ეფექტურს ხდის და მარეგულირებლის ჩარევის საჭიროებას ამცირებს. ინსტიტუციური ნდობის პირობებში

ბაზარი უფრო დინამიკური და ინოვაციურია, რადგან ხელი ეწყობა ინფორმაციის გაზიარებას, ინვესტირებასა და მეწარმეობას.

საინტერესო კონცეფციას გვთავაზობს რობერტ პატნემი თავის ნაშრომში: „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია: სამოქალაქო ტრადიცია თანამედროვე იტალიაში“. პატნემის ოცდაათწლიანი კვლევა საზოგადოების ჩართულობისა და ინსტიტუტებისადმი ნდობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. რაც ეხმარება მმართველობის ეფექტიანობას, სტაბილურობასა და დემოკრატიულობის შენარჩუნებას. ის ერთმანეთს ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიას სამოქალაქო ჩართულობის კუთხით ადარებს. კვლევა ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთი, სადაც საზოგადოებრივი ჩართულობა და ინსტიტუტებისადმი ნდობა ბევრად მაღალია, მთავრობის ეფექტურობით, ნაკლები კორუფციითა და ძლიერი ეკონომიკური მაჩვენებლებით გამოირჩევა. პატნემის შეფასებით, განსხვავება სწორედაც სოციალური კაპიტალის დაგროვებისა და ნდობის სხვაობით დგება, რომელიც თავის მხრივ კოორდინაციას და თანამშრომლობას უწყობს ხელს ორმხრივი სარგებლისთვის (Putnam; Leonardi & Nanetti, 1993). შესაბამისად, ფუკუიამას მოსაზრებით ხანგრძლივი სოციალური ტრადიციებით ჩამოყალიბებული ინსტიტუციური ნდობა განაპირობებს პოლიტიკური სისტემის გამართულობასა და პროდუქტიულობას.

ინსტიტუტებისადმი ნდობის მაღალი ხარისხი კავშირშია რიგ პოზიტიურ შედეგებთან, როგორიცაა გაძლიერებული სოციალური კაპიტალი, კარგი მმართველობის პრინციპების განმტკიცება და ეკონომიკური კეთილდღეობა. მეორე მხრივ, ინსტიტუციური ნდობის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს არასტაბილურობა, სოციალური არეულობა და შემცირებული სამოქალაქო ჩართულობა, რაც ხაზს უსვამს კრიტიკულ როლს, რომელსაც ნდობა ასრულებს საზოგადოებრივ სტრუქტურაში.

მატიევიჩის, ოსტოიოვიჩისა და იოვანოვიჩის (2022) კვლევა ინსტიტუციურ ნდობასა და მოქალაქეების უსაფრთხოების განცდას შორის სტატისტიკურ კორელაციას პოულობს. ნდობის უფრო მა-

ღალი დონე ისეთი ინსტიტუტების მიმართ, როგორცაა პოლიცია, სასამართლო სისტემა და პარლამენტი, ეკონომიკური და პირადი უსაფრთხოების გრძნობასთანაა დაკავშირებულია. ცხადია, შესწავლილ ქვეყნებში სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობის განსხვავებული დონე გამოვლინდა, თუმცა ამით ფუჭუიამასა და პატენმის მიერ განხილული ინსტიტუციური საქმიანობის, ისტორიული მემკვიდრეობისა და მიმდინარე გამოწვევებს შორის თანაკვეთა მტკიცდება. ქვეყნებში, სადაც მოულოდნელი ხარჯების დაკმაყოფილების შესაძლებლობაა, სამუშაო და ცხოვრებით კმაყოფილება მაღალია, მაღალი ნდობის მაჩვენებლებიც გვხვდება. ვლინდება ეკონომიკური სტაბილურობის, ფინანსური კრიზისებისგან დაცულობისა და სიღარიბის ზეგავლენა ინსტიტუციურ ნდობაზე (Matijević; Ostojić & Jovanović, 2022). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინსტიტუციური ნდობა მოსახლეობის პოზიციას, დამოკიდებულებას, მათ შორის რეფორმების მხარდაჭერასაც განსაზღვრავს,

ეკონომიკურ ასპექტებს მიმოიხილავს ჰვანგიც (2023). ის ინსტიტუციურ ნდობას ყველაზე მეტად ეკონომიკურ ზრდას უკავშირებს. სანდო ინსტიტუტები ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს აყალიბებს. ჰვაგი ხაზს უსვამს, რომ ინსტიტუტები ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში კრიტიკულ როლს თამაშობს. მის მიერ შესწავლილი პოლიტიკური ნდობა მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობას გულისხმობს. ჰვანგის კვლევა განასხვავებს პოლიტიკურ ნდობას, როგორც ინტერპერსონალური, ასევე ინსტიტუციური ნდობისგან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას ნაკლებად მჭიდრო ურთიერთობა აქვს ეკონომიკურ ზრდასთან, ინსტიტუციურ ნდობასთან შედარებით. ეს მიგნება გულისხმობს, რომ მიუხედავად პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობისა საზოგადოების ერთიანობასა და დემოკრატიულ პროცესებზე, მისი პირდაპირი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე შეიძლება იყოს უფრო შეზღუდული ან არაპირდაპირი (Hwang, 2023).

ინსტიტუციური ნდობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციაა. გრუნინგმა და ჰანტმა ორმხრივი სიმეტრიული კომუნიკაციის კონცეფცია წარმოადგინეს. რეფორმის პროცესში მყოფ ინსტიტუტებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთგაგებისა და მოლაპარაკებების ხელშეწყობაში ამგვარ კომუნიკაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. წარმატებული რეფორმის ძალისხმევა დამოკიდებულია ღია, გამჭვირვალე და საპასუხო კომუნიკაციის სტრატეგიებზე. ამგვარი სტრატეგიები არა მხოლოდ ავრცელებენ ინფორმაციას, არამედ დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგებს აწყობენ (Gruning & Hunt, 1984). შესაბამისად, საკომუნიკაციო სტრატეგიებიც განაპირობებენ ინსტიტუციურ ნდობას და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პროცესები არ არის.

ინსტიტუციური ნდობა საზოგადოების ქცევას განაპირობებს, მაგალითად: პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა კერძო დანაშოგების წახალისებას უწყობს ხელს. ფაჩინი, მასინი და ბრუქსი ნდობის კონცეფციას პოლიტიკურ, იურიდიულ და ფინანსურ ინსტიტუტებთან მიმართებით იკვლევენ და OECD-ის ქვეყნების ათწლიანი მონაცემების ყოვლისმომცველი ანალიზს გვთავაზობენ, რაც საფუძვლიან არგუმენტს გვაძლევს პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა დანაშოგების კულტურის მთავარ მამომრავებელ ძალად მოვიაზროთ (Facchini; Massin & Brookes, 2024).

პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის საკითხი, აჩქარებული გლობალიზაციის პირობებში, კიდევ უფრო აქტუალურია. ჰეკშერი (2015) თავის ნაშრომში „ნდობა კომპლექსურ სამყაროში: საზოგადოების გამდიდრება“ ინსტიტუციური ადაპტაციის კონცეფციას იკვლევს. ის აღნიშნულს ნდობის დამყარების მექანიზმად განიხილავს. პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ უნარი განვითარდნენ, ისწავლონ წარსულის შეცდომებზე და უპასუხონ ახალ გამოწვევებს აღწევენ საზოგადოების მაღალ ნდობას. სწორედ ეს ადაპტირება ინსტიტუტებს იმგვარ რეფორმებს აიძულებს, რომ-

ლებშიც საზოგადოებისგან კითხვის დასმა და უკუკავშირი მუდმივი პროცესია (Heckscher, 2015).

საქართველოს შემთხვევაში, საბჭოთა წარსულის კონტექსტი ინსტიტუტების ხარისხზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. კატარჯინა ბენტკოვსკას კვლევაში (2023) ჩანს, რომ ინსტიტუციური ნდობა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მთლიან პოლიტიკურ სისტემაზეა დამოკიდებული და არა უშუალოდ კონკრეტული პოლიტიკური ინსტიტუტის მიმართ ნდობაზე. ეს ასპექტი კომპლექსურ ურთიერთკავშირზე მიუთითებს. ინსტიტუტის წარმატებულმა მუშაობამ შეიძლება ნდობის გარკვეული ფორმები გააძლიეროს, თუმცა ღრმად ფესვგადგმული სკეპტიციზმი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ მნიშვნელოვან ბარიერად რჩება (Bentkowska, 2023).

საბჭოთა გამოცდილებას სხვა ავტორებიც განიხილავენ. მიშლერისა და როუზის კვლევა, გვთავაზობს ინსტიტუციური ნდობის გაგებას პოსტ-კომუნისტური საზოგადოებების კონტექსტში (Mishler & Rose, 2001). ნაშრომში ნდობით აღჭურვილი საზოგადოების შექმნაზე ინსტიტუციური რეფორმების გატარების შესაძლო პოზიტიური ზეგავლენაა განხილული. ავტორების მტკიცებით, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიების მიმართ ნდობის შესაქმნელად და ისტორიული გამოცდილებიდან განპირობებულმა გამოწვევებმა ინსტიტუტების ეფექტიანობის ზრდის საჭიროება გააჩინა. დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის, პოლიტიკური სტაბილურობისთვის სამოქალაქო ჩართულობის გაზრდისა და ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის დანერგვისთვის პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებმა მეტი ფოკუსი გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და ეფექტიანობაზე უნდა გააკეთონ.

საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემა და მისი

გამოწვევები: აკადემიური ლიტერატურის ანალიზი

საპენსიო სისტემები შექმნილია იმისთვის, რომ ინდივიდებისთვის საპენსიო წლების განმავლობაში ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოს, ხანდაზმულებში სიღარიბე შეამციროს. გლობალურად, საპენსიო სისტემის ორი ძირითადი ტიპია გავრცელებული: Pay As You Go (PAYGO) და დაგროვებითი საპენსიო სისტემები. PAYGO საპენსიო სისტემები ფუნქციონირებს მარტივი პრინციპით. მუშათა მიმდინარე შენატანები მოქმედი ხანდაზმულების პენსიის გადასახდელად გამოიყენება. ეს სისტემა პენსიაზე გასული მოსახლეობის მხარდასაჭერად მშრომელი მოსახლეობის უწყვეტი შენატანების ნაკადს ეყრდნობა. გორასა და პალმერის მოსაზრებით, PAYGO სისტემების სარგებელი და მათი სიმარტივე პირდაპირ კავშირშია შენატანებსა და სარგებელს შორის. მას შეუძლია შენატანების ან საპენსიო შეღავათების კორექტირებით დემოგრაფიულ ცვლილებებს მოერგოს (Góra & Palmer, 2004). თუმცა, ბარი და დაიმონდი მოსახლეობის დაბერების და შობადობის შემცირების მიმართ PAYGO სისტემების დაუცველობას უსვამენ ხაზს, რაც ფინანსურ კრიზისებს განაპირობებს (Barr & Diamond, 2008).

მსგავსი დემოგრაფიული პრობლემა საქართველოშიც აქტუალურია. ჯაბა უროტაძის კვლევა „საქართველოს საპენსიო სისტემის გამოწვევებში“ (2020) მიმოიხილავს დემოგრაფიული ცვლილებების, განსაკუთრებით კი მოსახლეობის დაბერების გავლენას საპენსიო სექტორის მდგრადობაზე. ანალიზი ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტის მნიშვნელოვან ზრდას პროგნოზირებს. ეს კი მზარდ ფინანსურ გამოწვევას ნიშნავს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მეტი ადამიანი შედის საპენსიო ასაკში, ხოლო სამუშაო ძალა, რომელიც პასუხისმგებელია საპენსიო სისტემის დაფინანსებაზე, მცირდება. ეს დემოგრაფიული ტენდენცია ხაზს უსვამს მოსალოდნელ ფისკალურ ზეწოლას, რომელიც მომავალი საპენსიო

შელავთების ადეკვატურობასა და მდგრადობას ექვეყნებ აყენებს (Urotadze, 2020).

სწორედ მსგავსი დემოგრაფიული გამოწვევებია ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც საქართველომ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა გადაწყვიტა. დაგროვებითი საპენსიო სისტემები შენატანებს ინდივიდუალურ ანგარიშებში აგროვებენ. დროთა განმავლობაში კი დამატებითი შემოსავლის შესაქმნელად მათ ინვესტირებასაც ახდენენ (პარლამენტი, 2018). პენსიაზე გასვლისას დაგროვილი დანაზოგი და საინვესტიციო შემოსავალი პენსიას აფინანსებს. ოლივია მიტჩელი და სტევენ უტკუსი მხარს უჭერენ დაფინანსებულ სისტემებს, რადგან მსგავს სქემებს უფრო დიდი პოტენციალი აქვთ, მაღალი შემოსავლის მქონე ინვესტიციების გამო. ამავდროულად, დაგროვებითი საპენსიო სქემები დემოგრაფიულ ფაქტორებზე დამოკიდებულნი ნაკლებად არიან (Mitchell & Utkus, 2004). მიუხედავად ამისა, ჰოლცმანი, პალმერი და რობალინო ბაზრის ცვალებადობის გამოწვევებს განიხილავენ და პენსიაზე გასვლისას არასაკმარისი სახსრების რისკს უსვამენ ხაზს, რაც შეიძლება ცუდი ინვესტიციით ან არასწორი მენეჯმენტით იყოს გამოწვეული (Holzmann; Palmer & Robalino, 2012).

დოკუმენტი სახელწოდებით "სავალდებულო საპენსიო სისტემის საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში", საქართველოში სავალდებულო საპენსიო სისტემის საინვესტიციო პოლიტიკის დეტალურ ანალიზს გვთავაზობს. დოკუმენტი ასკვნის, რომ სავალდებულო დაგროვებითმა საპენსიო სისტემამ და მისმა საინვესტიციო პოლიტიკამ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. აღნიშნული ამგვარი რეფორმების ფინანსურ სტაბილურობასა და სოციალურ კეთილდღეობაზე ზეგავლენას აჩვენებს (Tchiotashvili & Chitadze, 2024). რეფორმის მიღწევები ჩართულობის მაქსიმიზაციაში, მნიშვნელოვანი საპენსიო აქტივების შექმნასა და

პრაქტიკული შედეგების მიწოდებაში ხაზგასმულია, როგორც მისი ეფექტურობისა და აუცილებლობის დასტური.

მიუხედავად რეფორმის მიღწევებისა, პენსიონერთა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანაზე კრიტიკულად საუბრობენ. კრიტიკას კი რეფორმის გამოწვევები იწვევს, როგორიცაა საპენსიო განაკვეთის მდგრადობა, ინფლაცია, შენატანების სავალდებულო ხასიათი და საპენსიო დანაზოგების ადეკვატურობა. ხაზგასმულია ვრცელი საინფორმაციო კამპანიის საჭიროება რეფორმის საზოგადოების მიერ გააზრებისა და მიღების გასაძლიერებლად, როგორც ამ გამოწვევების დაძლევის მთავარი სტრატეგია (Tchiotashvili & Chitadze, 2023).

ნაშრომში „პანდემიის გავლენა საპენსიო სისტემებზე“ აღწერილია თუ რამდენად მოწყვლადია დაგროვებითი საპენსიო სქემები ფინანსური კრიზისის დროს, რადგან დაბალი შემოსავლები აქტივების ღირებულებას ამცირებს. ამგვარი სიტუაცია წარმოშობს ფისკალურ რისკებს, რაც მთავრობის მიერ მხარდაჭერილ სქემებზე გავლენას ახდენს. საქართველოს შესახებ, ნაშრომში განხილულია საინვესტიციო რისკები, განსაკუთრებით პანდემიით გამოწვეული არასტაბილური ფინანსური ბაზარი და ახალი სისტემის მიერ პოტენციურად გაძლიერებული სოციალურ უთანასწორობა (Ghaniashvili, 2021). ნაშრომი ასკვნის, საქართველოში საპენსიო რეფორმა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სოციალური დისბალანსისა და ფისკალური ზეწოლის დაძლევის შესაძლებლობას, თუმცა COVID-19-ის პანდემიით განპირობებული გამოწვევები საპენსიო სისტემის მუდმივ შეფასებას მოითხოვს. ერთ-ერთი მთავარი კრიტიკა ეხება გადაწყვეტილებას, რომ საპენსიო სააგენტო შეიქმნას, როგორც დაგროვებითი საპენსიო ფონდების მართვაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი სტრუქტურა. ნაშრომში ხაზგასმულია სააგენტოს გამოცდილების ნაკლებობა ფონდების მართვაში, რაც საპენსიო აქტივების ეფექტიანი ზედამხედველობის შესაძლებლობის შესახებ კითხვებს აჩენს. ფონდის მართვის ცენტრალიზაციამ სამთავრობო

უწყების ქვეშ კონკურენტული შერჩევის პროცესის ან ფინანსური მენეჯმენტის დადასტურებული გამოცდილების გარეშე, შესაძლოა საპენსიო ფონდების არაეფექტურობა ან არასწორი მართვა გამოიწვიოს (Ghaniashvili, 2021). აღნიშნული კი საპენსიო აქტივების გრძელვადიან მდგრადობასა და ზრდაზე მოახდენს გავლენას.

რეფორმა დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობას ყველა დასაქმებულს ავალდებულებს, მაგრამ თვითდასაქმებულებსა და უმუშევარ პირებს გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს. მათი მონაწილეობა სავალდებულო არ არის, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ადეკვატური საპენსიო დაფარვა შესაძლოა არ ჰქონდეს. ამ ხარვეზმა შეიძლება არსებული სოციალური უთანასწორობა გააძლიეროს და დაუცველი მოსახლეობა პენსიაზე გასვლისას საკმარისი მხარდაჭერის გარეშე დატოვოს. ნიკო ჩიხლაძის კვლევა ხაზს უსვამს ამ ჯგუფების საპენსიო სისტემაში ჩართვის სტრატეგიების აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს ფართო გაშუქებასა და სამართლიანობას (Chikhladze, 2018). თვითდასაქმებული პირების ნებაყოფლობითი მონაწილეობა გამოწვევაა საპენსიო სქემის პოპულარიზაციისთვისაც. ამ ჯგუფში მონაწილეობის წახალისება მიზანმიმართულ სტიმულებს მოითხოვს, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები ან მოქნილი შენატანების განაკვეთები (Tsetskhladze & Kontselidze, 2019). გარდა ამისა, ჩარიცხვის პროცესის გამარტივება და მონაწილეობის უპირატესობების შესახებ მკაფიო ინფორმაციის მიწოდება ათვისების გაზრდას ხელს შეუწყობს.

რეფორმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დიფერენციალური გავლენა ინდივიდებზე, მათი ასაკისა და მათი შენატანების ხანგრძლივობის მიხედვით. ეს სქემა ახალგაზრდა პირებისთვის ყველაზე მომგებიანია, მათ საპენსიო სისტემაში წვლილის შეტანის სრული 40 წელი აქვთ. შესაბამისად, მათ პენსიაზე გასვლისას უფრო მაღალი ჩანაცვლების მაჩვენებლის მოლოდინი შეუძლიათ ჰქონდეთ. თუმცა, საპენსიო ასაკთან მიახლოებული პირებისთვის, რომლებსაც ნაკლები დროის განმავლობაში აქვთ შენატანი,

სარგებელი მნიშვნელოვნად დაბალია. ეს ქმნის უთანასწორობას სისტემის შიგნით. მისი ერთ-ერთი მიზანია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში თანაბარი შეღავათები უზრუნველყოს (Chikhladze, 2018).

„ჩრდილოვანი გადასახადის“ კონცეფცია ჩნდება, როგორც კრიტიკული საკითხი საქართველოში სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებისას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის სექტორზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც დამსაქმებლები, ეკონომიკური შეზღუდვების გამო, ირჩევენ გადაიხადონ როგორც საკუთარი, ისე თანამშრომლების შენატანები საპენსიო სქემაში, ხშირად დასაქმებულთა ინფორმირებულობის გარეშე. აღნიშნული დასაქმებულთა შორის საპენსიო სისტემაში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით გამჭვირვალობისა და ურთიერთგაგების ნაკლებობას იწვევს. შოთა ყარალაშვილის ანალიზი, "ჩრდილოვანი გადასახადი" - საქართველოს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ერთ-ერთი გამოწვევა“, ხაზს უსვამს, რომ გადასახადის გაჩენა ეკონომიკური გარემოს პირდაპირი შედეგია საქართველოში. ის აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მცირე ბიზნესის სექტორში დამსაქმებლებისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე კანონით მოთხოვნილი დირექტივების შესრულება. ჩრდილოვანი გადასახადის არსებობა აჩენს კითხვებს სახელმწიფოს როლზე საპენსიო შენატანების რეგულირებასა და აღსრულებაში, რაც მიუთითებს აპათიის ხარისხზე, საპენსიო რეფორმის პროცესსა და შედეგებს შორის შეუსაბამობის მიმართ (Karalashvili, 2020).

საზოგადოებრივი აზრის კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობის 87% ფლობდა ინფორმაციას რეფორმის არსებობის შესახებ, ხოლო მოსახლეობის ამ ნაწილის 57% ინიციატივის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, დადებითად კი მხოლოდ 20% (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2019). 2020 წლის კვლევის მიხედვით კი რესპონდენტთა მხოლოდ 13% ენდობა სახელმწიფოს საპენსიო სისტემის მართვის კუთხით (Kbiltsetskhlashvili & Chezha, 2020). შესაბამისად, ნათელია, რომ საზოგადოებაში რეფორმის მი-

მართ სკეპტიციზმი ვლინდება და მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა აქტუალურია.

საკითხის აქტუალობის შესაბამისად, კვლევის მიზანია საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმისადმი სკეპტიკური განწყობების მიზეზების გამოვლენა. შესაბამისად, კვლევის ამოცანები ემსახურება: 1. საპენსიო პოლიტიკის გარშემო არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას; 2. დაგროვებითი საპენსიო რეფორმისადმი სკეპტიციზმის ამხსნელი თეორიების და ამ საკითხის გარშემო არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას; 3. დაგროვებით სქემაში მონაწილე მოქალაქეებთან ფოკუს-ჯგუფების ჩატარებას; 4. საპენსიო პოლიტიკის ექსპერტების ინტერვიუება და მიგნებების ჩამოყალიბება;

აღნიშნული ნაშრომის კვლევის ობიექტს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილე საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ. ასევე, კვლევის ობიექტი საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემა და მის შესახებ გამოქვეყნებული აკადემიური ლიტერატურაა. კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი საკვლევი კითხვა: რა ფაქტორები განაპირობებს საზოგადოებრივ სკეპტიციზმს საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ.

ამდენად, კვლევის დაშვებაა, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი უნდობლობაა.

რაც შეეხება ცვლადების ოპერაციონალიზაციასა და კონცეპტუალიზაციას, ტერმინი სკეპტიციზმი რასელ ჰარდინისეული ხედვით გამოიყენება, რომელიც გულისხმობს ექვს ან კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებულ დამოკიდებულებას ინდივიდების, ინსტიტუტების, იდეების ან პროცესების მიმართ სოციალური და პოლიტიკური ურთიერთქმედების კონტექსტში (Hardin, 2002). საზოგადოების სკეპტიციზმი არის ექვი ან უნდობლობა, რომელიც მოქალაქეებს

აქვთ მთავრობის ქმედებების, პოლიტიკის ან ინსტიტუტების მიმართ. ნორისი (1999) აღნიშნავს, რომ სკეპტიციზმი შეიძლება კორუფციის, ფინანსური არასწორი მენეჯმენტის ან პოლიტიკური არასტაბილურობის ისტორიული გამოცდილებიდან წარმოიშვას. ხოლო პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა მარკ უორენის ხედვით გამოიყენება, რომ ნდობა სხვების ქმედებების მიმართ ურთიერთდამოკიდებული მოლოდინია, რომელიც იქნება მომგებიანი ან, სულ მცირე, არ იქნება საზიანო თანამშრომლობის გასააქტიურებლად და სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში სირთულის შესამცირებლად (Warren, 1999).

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის ორი მეთოდი**. ესენია: **ფოკუს ჯგუფი და სიღრმისეული ინტერვიუ**. რეფორმის სპეციფიკის აღსაქმელად, საქართველოს კანონმდებლობა დაგროვებითი პენსიის შესახებ და ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში გაანალიზდა (მთავრობა, 2018). ამავდროულად, სხვა სამეცნიერო კვლევები და სტატიებიც გამოყენებული, რომლებიც აფასებენ საპენსიო სქემას განსხვავებული ასპექტებიდან. ამასთან, კვლევა ჩატარებულ ხუთ ფოკუს ჯგუფს, ორ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. მონაცემთა ანალიზისთვის ორი სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან ჩატარდა.

ფოკუს-ჯგუფები 2 სხვადასხვა თაობაშია ჩატარებული. სამი ფოკუს ჯგუფი შედგებოდა 40 წლის და უფროსი ასაკის პირებისგან, ხოლო ორი ფოკუს ჯგუფი 40 წლამდე ასაკის მონაწილეებს მოიცავდა. ფოკუს ჯგუფების ყველა რესპონდენტი დაგროვებით საპენსიო სქემის მონაწილეა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულია **არაალბათური მიზნობრივი შერჩევა** დისტანციური ფორმით. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეები სხვადასხვა პროფესიული, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური გამოცდილების მიხედვით შეირჩნენ. ჯგუფები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. აღნიშნული მეთოდით მარტივდება რეფორმისადმი საზოგადოების

მოსაზრებებისა და მისი განმაპირობებელი მიზეზების აღმოჩენა, ვინაიდან რესპონდენტის ინფორმაციის ნაკლებობის შემთხვევაში დისკუსია ზოგადი განწყობის გამოვლენას ხელს შეუწყობს. კვლევის **ინსტრუმენტი** ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევა (იხ. დანართი N1), რომელიც ინსტიტუტების მიმართ ნდობისა და საპენსიო სისტემის მხარდაჭერას შორის კავშირის აღმოჩენაში დაგვეხმარება. გზამკვლევი უზრუნველყოფს დისკუსიის გზით მათი პოზიციების თავისუფლად გამოხატვას. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა 2024 წლის მაის-ივნისში. ფოკუს ჯგუფის საშუალო ხანგრძლივობა იყო 60-65 წუთი. 40 წელი გამყოფად სახელმწიფოს პოლიტიკიდან გამომდინარე აღებული, რამდენადაც სახელმწიფომ აღნიშნულ ზღვარს გადაცდენილ პირებს სქემიდან ჩახსნის შესაძლებლობა მისცა. აღნიშნული დაყოფა უზრუნველყოფს სხვადასხვა თაობის დამოკიდებულებების შესწავლასა და შედარებას. გამოიკვეთა კვლევის შეზღუდვა, ვინაიდან ყველა ფოკუს ჯგუფი თბილისში ჩატარდა. რესპონდენტების თანხმობის შედეგად, **ტრანსკრიპტის მომზადებისთვის, კოდირებისთვის და ანალიზისთვის** ყველა ფოკუს ჯგუფის აუდიო ჩანაწერი მომზადდა.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისა და ფოკუს-ჯგუფების ჩატარების შემდეგ, მიღებული შედეგების ვალიდაციისთვის ჩატარდა **ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ** დარგის ორ ექსპერტთან. ექსპერტები შეირჩა არაალბათური არაშემთხვევითი შერჩევით, მათი გამოცდილებისა და პროფესიული სპეციფიკის შესაბამისად (იხ.დანართი N2). რეფორმისადმი სკეპტიციზმისა და პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის კავშირის დასადასტურებლად ექსპერტის შეფასება მნიშვნელოვანია.

განხილული ნაშრომების შესწავლამ და ანალიზმა დაგროვებითი საპენსიო სისტემისადმი საზოგადოებრივი სკეპტიციზმის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. თითოეული ნაშრომს დიდი კონტრიბუცია ჰქონდა, როგორც ზოგადი თეორიული, ასევე საქართველოს კონტექსტის აღქმაში. მართალია, არცერთი განხი-

ლული ნაშრომი ზუსტად არ განიხილავს დაგროვებით საპენსიო სისტემას ინსტიტუციური ნდობის კონტექსტში. თუმცა, მათი კომბინაცია გვეხმარება ინსტიტუციური ნდობისა და საქართველოს დაგროვებითი საპენსიო რეფორმის მიმართ სკეპტიციზმს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთმიმართების აღმოჩენა.

კვლევის შედეგები და დისკუსია

გრძელვადიანი რეფორმის მდგრადობისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რისი კარგი მაგალითიც დაგროვებით საპენსიო სქემაა. აღნიშნული რეფორმის მიმართ კი არაერთი განსხვავებული პოზიცია და მოსაზრებაა გავრცელებული. სწორედ ამიტომ, საზოგადოებრივი განწყობის სიღრმისეული ანალიზისთვის, კვლევისას ხუთი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა.

დისკუსიების მეშვეობით მონაწილეებმა თავიანთი აზრებისა და განწყობების ღიად გამოხატვა შეძლეს. კომპლექსური საკითხების შესწავლისას ფოკუს ჯგუფები საშუალებას იძლევა ისეთი შეხედულებები გაჩნდეს და დაფიქსირდეს, რომლებიც შეიძლება კვლევის სხვა ტექნიკით არ გამოვლინდეს.

ფოკუს ჯგუფებში 3 ძირითადი ფაქტორი გამოიკვეთა, რომლებიც რესპონდენტთათვის აქტუალური იყო და რეფორმისადმი სკეპტიციზმს განაპირობებდა. ესენია: **ინსტიტუციური ნდობის ფაქტორი; საინფორმაციო ფაქტორი; უტილიტარული ფაქტორი.**

სკეპტიციზმის სხვადასხვა სახის აღმოჩენამდე, უშუალოდ საპენსიო სისტემის დაგროვებითობასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევა აუცილებელია. მნიშვნელოვანია, თუ რამდენად საჭიროდ და რელევანტურად თვლიან საქართველოში მსგავსი რეფორმის გატარებას. კვლევისას იდეის მიმართ სკეპტიციზმი ნაკლებად გამოვლინდა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სიბერის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიზანია. მეტიც, რესპონდენტთა უმრავლესობამ საპენსიო სისტემის პოტენციური სარგებელი აღიარა.

დისკუსიისას, რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს რეფორმის იმ უპირატესობას, რომ საკუთარ თავზე და საკუთარ შენატანზე იყვნენ დამოკიდებულნი. ფინანსური მომავლის მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გამო სიამაყეც გამოიკვეთა. „თუნდაც ის, რომ ეს ჩემი დამსახურებული ფულია, დიდი მიღწევაა. გამოდის, რომ ამ პენსიას სახელიც კი ღირსეული ჰქვია. ახლანდელი პენსია სოციალური დახმარებაა. მე რომ დავბერდები, ის პენსიონერი კი არ გავხდები, სახელმწიფო რომ სოციალურ დახმარებას გადმოუგდებს, არამედ ღირსეული და დამსახურებული პენსია მექნება. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ (ფოკუს ჯგუფი N2; ქალი 43 წლის). თუმცა, აღნიშნულს რეფორმის სავალდებულო ხასიათით უკმაყოფილება თან სდევდა. მიუხედავად ამისა, მონაწილეებმა მიიჩნიეს, რომ სისტემის ნებაყოფლობითობას შეიძლება საფრთხე შეექმნა მისი წარმატებისთვის. მათ მიაჩნდათ, რომ სავალდებულო მონაწილეობა ფართო მხარდაჭერისა და საკმარისი ფინანსური რესურსის დაგროვების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო.

რესპონდენტთა მცირე ნაწილს სჯერა, რომ საკუთარი სიბერის უზრუნველყოფა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად თავად შეუძლიათ. ამ ჯგუფმა განიხილა სახელმწიფო საპენსიო სისტემის ალტერნატივები, როგორიცაა კერძო ფონდები. იყო იდეოლოგიური წინააღმდეგობა რესპონდენტთა მცირე ნაწილს შორის, რომლებიც თვლიდნენ, რომ სოციალური პოლიტიკა არ უნდა იყოს სახელმწიფოს საქმე. ეს ჯგუფი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რეფორმას და ამტკიცებდა, რომ პირები უნდა იყვნენ პასუხისმგებელი თავის ფინანსურ უსაფრთხოებაზე სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.

ზოგიერთმა რესპონდენტმა იცოდა, რომ მსგავსი საპენსიო სქემები არსებობს უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში. მათ არ გააჩნდათ დეტალური ინფორმაცია უცხოური გამოცდილებების შესახებ, თუმცა მათი არსებობის მხოლოდ გაცნობიერებამ დადებითად იმოქმედა რეფორმის იდეისადმი დამოკიდებულებაზე.

ინსტიტუციური ნდობის ფაქტორი

ინსტიტუციური ნდობა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს შორის მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რაც საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის ნდობაზეც აისახება. დისკუსიებმა კორუფციისა და საპენსიო ფონდების ბოროტად გამოყენების რისკი გამოავლინა. ბევრმა რესპონდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს თანხები შეიძლება მთავრობისთვის მარტივი სამიზნე გახდეს. ფონდს განიხილავენ, როგორც "მარტივი ფულის" შოვნის მოსახერხებელ წყაროს. ამ შიშს ემატება მონაწილეთა სკეპტიკურობა მთავრობის შესაძლებლობებში, მართოს თანხები გამჭვირვალედ და პასუხისმგებლობით.

კიდევ ერთი კრიტიკული საკითხი საპენსიო ფონდის გრძელ ვადაში შენარჩუნება და სამთავრობო ცვლილებების ფონზე სტაბილურობა იყო. მონაწილეები, შესაძლო ახალი ადმინისტრაციის პირობებში ფონდის უწყვეტობასა და უსაფრთხოებას სკეპტიკურად უყურებდნენ. ეს სკეპტიციზმი პოლიტიკური არასტაბილურობის განცდისგან და სამთავრობო გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ფინანსების არასწორი მართვის ან რეფორმის სრულად შეწყვეტის რისკისგან მომდინარეობს: „ერთ წელში თუ მთავრობა შეიცვლება, თუნდაც არჩევნებში ჩემი ხმის საპირისპირო მთავრობა მოვა სათავეში, ისინი პირველ რიგში საპენსიო რეფორმის გაუქმებას დააყენებენ დღის წესრიგში. ამ შემთხვევაში რას ვაკეთებთ, ჩემთვის ბუნდოვანია. სულ რომ ახლაც დამიბრუნდეს ეს თანხა, მაინც არ მგონია სწორი“ (ფოკუს ჯგუფი N2; კაცი 43 წლის).

უნდობლობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისტორიულმა ფინანსურმა კრიზისებმაც. წარსული დეფოლტის გამოცდილებამ, როგორიცაა ე.წ. ანაბრების გაყინვა და მნიშვნელოვანმა ფინანსურმა ზარალმა საზოგადოებაში ფინანსური რეფორმების მიმართ მიუღებლობა გააჩინა.

დისკუსიებში ხაზი გაესვა ფართოდ გავრცელებულ უნდობლობას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, განსაკუთრებით მათ

დამოუკიდებლობასა და გამართულობასთან დაკავშირებით. რესპონდენტებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ საპენსიო ფონდი არ არის დამოუკიდებელი და ხელისუფლების გავლენებს ექვემდებარება. მათთვის დამოუკიდებლობის ნაკლებობა აზიანებს ნდობას ფონდის მიუკერძოებლობისა და უსაფრთხოების კუთხით, რაც სისტემის მიმართ უფრო მასშტაბურ უნდობლობას იწვევს. “ვიღაცისთვის შესაძლოა ეს აღმოჩნდეს მარტივად ხელმისაწვდომი ფული, რომელსაც პირადი მიზნებისთვის ან პირადი ინვესტიციისთვის გამოიყენებს. არ არის აუცილებელი რომ ვინმე ადგეს და ეს ფული მოიპაროს, შესაძლოა რომელიმე ძალის სასარგებლოდ მოხდეს ინვესტირება, რაც ფონდის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას გამოიწვევს” (ფოკუს ჯგუფი N4; ქალი 30 წლის;).

გარდა ამისა, აშკარა იყო ეჭვი ფონდის მმართველთა პროფესიონალიზმსა და შესაძლებლობებში. მონაწილეებმა საპენსიო სისტემის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირების კომპეტენცია ეჭვქვეშ დააყენეს და გამოთქვეს შიში, რომ ფონდის მენეჯმენტი შესაძლოა რეალურად არაკომპეტენტური იყოს. „მინდა ვიცოდე ვინ დგანან ამ რეფორმის მიღმა. ფიზიკურად არ ვიცი ის ადამიანები, რომ მივიდე და დაველაპარაკო. მანდ რომ არ არის გამჭვირვალობა ჩემს ნდობაზეც მოქმედებს.“ (ფოკუს ჯგუფი N1; კაცი 23 წლის)

ფოკუს ჯგუფებმა ასევე გამოავლინა ზოგადი უნდობლობა პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური კლასის მიმართ. „მანდ ასეთი კითხვაა, საზოგადოება არ ენდობა რეფორმას, თუ არ ენდობა მას ვინც ახორციელებს. ვფიქრობ, რომ, ამ შემთხვევაში, აუცილებლად მეორეა სწორი“ (ფოკუს ჯგუფი N5; ქალი 29 წლის). გაჟღერდა კითხვა, რეალურად იხდის თუ არა სახელმწიფო დაპირებულ 2%-იან შენატანს საპენსიო ფონდში. ამ გაურკვევლობამ ინსტიტუციური ნდობის კრიტიკული ზეგავლენა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა.

საინფორმაციო ფაქტორი

რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა კომუნიკაციის მნიშვნელოვან ხარვეზს საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით. მონაწილეებმა არაერთხელ აღნიშნეს რეფორმის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობა. რეფორმის განხორციელება გააკრიტიკეს არასაკმარისი საინფორმაციო კამპანიების გამო, რაც გამოიწვევდა მოქალაქეების ინფორმირებას რეფორმის მიზნის, სარგებლისა და მექანიზმების შესახებ.

გამოვლენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო საპენსიო ფონდის გამჭვირვალობა და მისი ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაციის ან საჯაროობის ნაკლებობა. მონაწილეებმა გამოხატეს იმედგაცრუება იმის არცოდნის გამო, თუ ვინ მართავს ფონდს და როგორ მიიღება გადაწყვეტილებები.

გარდა ამისა, შესამჩნევი იყო საპენსიო ფონდის მიერ განხორციელებული ინვესტიციების წარმატებასთან ან წარუმატებლობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის არარსებობა (ფოკუს ჯგუფი N4; ქალი 43 წლის). ამგვარი ინფორმაციის საჯაროდ გაზიარება მნიშვნელოვანია ნდობის გასამყარებლად და ფონდის წარმატებულად მუშაობის დემონსტრირებისთვის. წარმატებული ინვესტიციების მკაფიო მაგალითების და ფონდის საერთო ფინანსური სიჯანსაღის გარეშე, სკეპტიციზმი კვლავ მაღალია.

კომუნიკაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია ინფორმაციის ნაკლებობა თუ რა თანხის მიღება შეუძლიათ მოქალაქეებს პენსიაზე გასვლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტ ბანკის პლატფორმების საშუალებით, ის არ არის საკმარისად ყოვლისმომცველი ან ადვილად ხელმისაწვდომი ყველასთვის. მონაწილეებმა მიიჩნიეს, რომ საპენსიო შეღავათების უფრო მკაფიო, უფრო დეტალური პროგნოზები დაეხმარებოდათ უკეთ გააცნობიერონ თავიანთი შენატანების ღირებულება და საპენსიო სისტემის გრძელვადიანი სარგებელი.

არსებობდა კონსენსუსი, რომ კარგად შემუშავებულ და შესრულებულ საკომუნიკაციო პოლიტიკას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს რეფორმის მხარდაჭერა და ნდობა. მონაწილეებს სჯეროდათ, რომ გამჭვირვალე, ხშირი და მკაფიო კომუნიკაცია მთავრობისა და საპენსიო ფონდის მენეჯმენტისგან შეიძლება შეამსუბუქოს მათი შეშფოთება. მათ ხაზი გაუსვეს მუდმივი საინფორმაციო კამპანიის აუცილებლობას, რომელიც ეხება როგორც სისტემის მექანიზმებს, ასევე უფრო ფართო სარგებელს, რომლის მიღწევასაც ფონდი აპირებს (ფოკუს ჯგუფი N2; კაცი 51 წლის).

თუმცა, ინსტიტუციური ნდობის კონტექსტში, მხოლოდ კომუნიკაციის პოლიტიკის დახვეწის, და მეტიც, მისი საუკეთესოდ განხორციელების პირობებშიც კი ღრმად ფესვგადგმული საზოგადოებრივი სკეპტიციზმის დაძლევა შეუძლებელი იქნება (ფოკუს ჯგუფი N1; ქალი 28 წლის). გაუმჯობესებულმა კომუნიკაციამ შეიძლება შეამსუბუქოს გარკვეული სკეპტიციზმი, მაგრამ მას არ შეუძლია ის სრულად გადაჭრას. “მე მაინც ვფიქრობ, რომ ერთ მხარეს დგას ინფორმირებულობა, და მეორე მხარეს ის, თუ რას მიცვლის ეს ინფორმაცია. მე შეიძლება ვიყო ინფორმირებული, თუმცა გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა მაინც ვერ მოვახდინო” (ფოკუს ჯგუფი N4; ქალი 43 წლის).

მოკლედ, ფოკუს ჯგუფის დისკუსიებმა გამოავლინა, რომ ეფექტური კომუნიკაციის ნაკლებობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების სკეპტიციზმს დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ. ინფორმირებულობის ხარვეზის აღმოფხვრა გამჭვირვალე, ყოვლისმომცველი და მუდმივი საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით შესაძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გაუმჯობესებულმა კომუნიკაციამ შეიძლება სრულად ვერ გადალახოს პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ღრმა უნდობლობა, ეს არის არსებითი ნაბიჯი სკეპტიციზმის შემცირებისა და რეფორმის მხარდაჭერის საფუძვლის შესაქმნელად.

უტილიტარული ფაქტორი

დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ეკონომიკური ასპექტები ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მნიშვნელოვანი კრიტიკის საგანი იყო. დისკუსიებმა გამოავლინა კითხვები ფინანსურ მენეჯ-მენტთან და სისტემასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებზე. ერთ-ერთი მთავარი საკითხი საპენსიო შენატანებით განხორციელებული ინვესტიციები იყო. მონაწილეებმა მათი ფინანსების სწორად და ეფექტიანად ინვესტირების შესაძლებლობა ეჭვქვეშ დააყენეს. იყო შესამჩნევი სკეპტიციზმი მთავრობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მიუღო გონივრული საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მოიტანდა პოზიტიურ შემოსავალს და უზრუნველყოფდა ფონდის ფინანსურ მდგრადობას (ფოკუს ჯგუფი N5; კაცი 24 წლის).

ინფლაციის რისკი კიდევ ერთი მთავარი პრობლემა იყო. მონაწილეებმა გამოთქვეს შიში, რომ ინფლაციამ შესაძლოა დროთა განმავლობაში შეასუსტოს მათი შენატანების ღირებულება, რის გამოც ისინი თავიანთ დანაზოგს პოტენციურად დაკარგულად აღიქვამენ. ინფლაციის რისკი საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის მიმართ ნდობის ხარისხზე პირდაპირ აისახება (ფოკუს ჯგუფი N2; ქალი 45 წლის).

გარდა ამისა, რესპონდენტებში გამოვლინდა დაბნეულობა საინვესტიციო გეგმებისა და მიზნების სპეციფიკის შესახებ. ბევრი მონაწილე არ იყო დარწმუნებული, საინვესტიციო სტრატეგიის რელევანტურობაში და არ გააჩნდა ინფორმაცია იმ ვალუტების შესახებ, რომლებშიც მათი დანაზოგების ინვესტირება განხორციელდებოდა. (ფოკუს ჯგუფი N3; კაცი 48 წლის).

რეფორმის წარუმატებლობის შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან მკაფიო გარანტიების ნაკლებობამ მონაწილეთა მხრიდან შენატანების აღქმა, როგორც „დაკარგული ფული“ კიდევ უფრო გაამძაფრა (ფოკუს ჯგუფი N1; ქალი 30 წლის).

საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებმა საზოგადოების სკეპტიციზმი გამოავლინა, რომელიც ძირითადად ინსტიტუციური ნდობის ხარისხითაა განპირობებული. მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანია კორუფციისა და სამთავრობო სახსრების ბოროტად გამოყენების რისკები, სისტემის გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობით მართვის საკითხები, საპენსიო ფონდის სტაბილურობა შესაძლო სამთავრობო ცვლილებების ფონზე, რასაც წარსული ფინანსური კრიზისების გამოცდილება ემატება. აღნიშნული, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რეფორმის მხარდაჭერაზე. კომუნიკაციის ხარვეზებმა არსებული სკეპტიციზმი გააძლიერა. არასაკმარისი ინფორმაცია რეფორმის განხორციელების, ფონდის გამჭვირვალობისა და ინვესტიციების შედეგების შესახებ რეფორმისადმი უნდობლობას ხელს უწყობს. ეკონომიკურმა გარემომ ინვესტიციების ეფექტურობის, ინფლაციის რისკებისა და მთავრობის წვლილის შესახებ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. რესპონდენტებს მიაჩნდათ რეფორმის ჩავარდნის შემთხვევაში სახელმწიფოსგან გარანტიები არ ჰქონდათ.

ინსტიტუციური ნდობის თეორია ხსნის ამ სკეპტიციზმს და ხაზს უსვამს, რომ ინსტიტუტებისადმი ნდობა გადამწყვეტია პოლიტიკის იმპლემენტირებისთვის. მონაწილეთა აზრით, ნდობის გასაზრდელად გამჭვირვალე მენეჯმენტის, მკაფიო კომუნიკაციისა და ძლიერი ეკონომიკური სტრატეგიების მეშვეობით შესაძლებელია, თუმცა ინსტიტუციური ნდობით გამოწვეულ სკეპტიკურობას ვერ აღმოფხვრის. შესაბამისად, ინსტიტუციური ნდობა შეგვიძლია სკეპტიციზმის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად მივიჩნიოთ, დანარჩენები კი მის ხელშემწყობად. მიუხედავად იმისა რომ ზოგადი განწყობები ასაკობრივ ჯგუფებს შორის მეტ-ნაკლებად დაემთხვა, მათი პოზიციები ზოგჯერ განსხვავებულ ფოკუსს ატარებდა (იხ. ცხრილი 1)

საზ. სკეპტიციზმის ფაქტორები	განსხვავებები 40-მდე	განსხვავებები 40 და ზემოთ	მსგაბსებები
ინსტიტუციური ნდობის ფაქტორი	შენატანების „დაკარგულ ფულად“ აღქმა; კერძო დაგროვებითი სქემის მეტი ნდობა; არასტაბილური პოლიტიკური გარემოს მიერ ხელშეშლის რისკები; ზოგადად სახელმწიფოს განხორციელებული რეფორმების უნდობლობა;	კორუფციულ რისკებზე ფოკუსირება; ეჭვები ფონდის დამოუკიდებლო ბასთან დაკავშირებით ანაბრების გაყინვის ისტორიული გამოცდილება; წარუმატებელი ფინანსური რეფორმების გამოცდილება;	ხელისუფლების მხრიდან ფონდის ბოროტად ან სათავისოდ გამოყენებისა და კორუფციის შიში; სკეპტიციზმი ფონდის სტაბილურობის მიმართ, განსაკუთრებით სამთავრობო ცვლილებების დროს; ეჭვი ფონდის მმართველთა პროფესიონალიზმის შესახებ; კერძო ალტერნატივების მოთხოვნა;
საინფორმაციო ფაქტორი	ინფორმაციის დამოუკიდებლად მიღების ნაკლები მცდელობა; ინფორმაციის არქონაზე	ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების მეტი შემთხვევა; საკომუნიკაციო პოლიტიკის არასაკმარისობა	რეფორმის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა; ფონდის მართვისა და ინვესტიციების შესახებ უკეთესი გამჭვირვალობისა და

	სახელმწიფოს საინფორმაციო კამპანიის პასუხისმგებლობის დაყენება;	და წარუმატებლობა ; სააგენტოს გამჭვირვალობის პრობლემატურობა;	კომუნიკაციის საჭიროება; საუკეთესო კომუნიკაციის პოლიტიკის პირობებშიც კი სკეპტიციზმის შენარჩუნება;
უტილი ტარული ფაქტორი	კითხვები ინვესტიციების ს ეფექტიანობის შესახებ; ლარის დე- ვალვაციის რისკები;	კითხვები საინვესტიციო სტრატეგიებისა და ინფლაციის რისკების შესახებ ;	შიში არასტაბილური ეკონომიკური გარემოს ზეგავლენისა რეფორმის წარმატებულად განხორციელებაზე; შიდა ინვესტირებისადმი სკეპტიკურობა;

ცხრილი N1: ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოვლენილი
სკეპტიციზმის ფაქტორები

დაგროვებითი საპენსიო რეფორმას ექსპერტები განსხვავებულად აფასებენ, თუმცა მათი ძირითადი მოსაზრებები ერთგვაროვანია. ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ სახელმწიფო რეფორმებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა თანდაყოლილია. პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გავლენა საზოგადოებრივ განწყობებზე თავის მხრივ რეფორმების წარმატებასაც განაპირობებს. ორივე ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ წარსული გამოცდილება, იდეოლოგიური განსხვავებულობა, საინფორმაციო კამპანიების მასშტაბურობა და საზოგადოებრივი ცნობიერება, ინსტიტუციურ ნდობასთან ერთად, აყალიბებს საზოგადოებრივ სკეპტიციზმს რეფორმის მიმართ.

ერთ-ერთი ექსპერტი საზოგადოებაში გავრცელებულ უნდობლობას სახელმწიფოს მიერ ფინანსური პროექტების მართვის გა-

მოცდილების ნაკლებობით ხსნის. მისთვის ეს უნდობლობა არ არის ბოლოდროინდელი ფენომენი და ნაკარნახევია წარუმატებელი ფინანსური მენეჯმენტის გამოცდილებისა და ეკონომიკური არასტაბილურობის ნაზავით. „გაყინული ანაბრები“ არა მხოლოდ დაზარალებულების, არამედ შემდეგი თაობის ცნობიერებაში დაილექა. „მსგავსი გამოცდილების ჩრდილი ამჟამინდელი საზოგადოების შეფასებების განმაპირობებელია“ (ონლაინ ინტერვიუ, 5.06.2024).

ინფლაციასთან დაკავშირებით ექსპერტები განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობენ. მეორე რესპონდენტის აზრით, „რაც უფრო მაღალკვალიფიციურია ადამიანი ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში, მით უფრო სკეპტიკურია მისი დამოკიდებულება ამ რეფორმის მიმართ.“ ის აღნიშნულს რისკების გააზრებისთვის საჭირო ცოდნითა და რეფორმის კომპლექსურობით ხსნის, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად საინტერესოა (ონლაინ ინტერვიუ, 5.06.2024).

ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურმა ტენდენციებმა, ინსტიტუტების არასტაბილურობამ საზოგადოების უნდობლობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. რეფორმების მიმართ წინასწარი სკეპტიკური განწყობა არსებობს. მის მასშტაბს თავად რეფორმის ყოვლისმომცველობა განაპირობებს. დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმა ყველა ადამიანის ჩართულობას მოიცავს, შესაბამისად ადამიანები მეტად სკეპტიკურნი არიან. შედარებისთვის პირველმა ექსპერტმა ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა განიხილა, რომელიც შედარებით ნაკლებ ადამიანს ეხებოდა, შესაბამისად ნაკლები სკეპტიკურობით დაახასიათა. თუმცა იმ ჯგუფში, რომელსაც ეს რეფორმა შეეხო, რეფორმით უკმაყოფილება გამოვლინდა. ეს ასპექტი კი ხსნის, რატომ გამოვლინდა დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ განსაკუთრებული სკეპტიციზმი და რატომ იხსნება ის ინსტიტუციური ნდობის თეორიით. სკეპტიციზმი პირველ რიგში ეხება ინსტიტუტებს, და შემდეგ რეფორმის შინაარსს. მეორე ექსპერტი საზოგადოებრივი სკეპტიციზმის გან-

ხილვისას ხაზს უსვამს, რომ ეს განწყობები მუდმივად მზარდია. „საზოგადოება აქამდე ზოგადი ნდობის გამო აკრიტიკებდა რეფორმას, დანაზოგის მობილ ბანკში ასახვის შემდეგ მეტი ინტერესი გაუჩნდათ. რაც მეტად ჩაერთვება ხალხი, რაც უფრო დიდი დანაზოგი ექნებათ, მით უფრო კრიტიკულად მიუდგებიან ხელისუფლებას და რეფორმას“ (ონლაინ ინტერვიუ, 7.06.2024).

მეორე ექსპერტი, რომელიც საპენსიო სააგენტოს პირველი ბორდის ამრჩევი საპარლამენტო კომისიის წევრი იყო, საპენსიო რეფორმას უფრო იდეოლოგიური პერსპექტივიდან აკრიტიკებს. ის რეფორმის წინააღმდეგობის რამდენიმე მიზეზს ასახელებს. ამტკიცებს, რომ რეფორმა ყველა სახის შემოსავლისა და ხარჯის მქონე მოქალაქეს ერთნაირად ექცევა, რაც განსაკუთრებით უსამართლოა ღარიბი მოსახლეობის მიმართ, რომლებსაც შესაძლოა სულაც არ სურთ დაზოგვა, მაგრამ იძულებულნი არიან (ონლაინ ინტერვიუ, 7.06.2024). პირველი რესპონდენტი კი იდეოლოგიურ წინააღმდეგობას ვიწრო, პოლიტიკურად აქტიური საზოგადოების მახასიათებლად აღიქვამს, და მიაჩნია რომ ფართო საზოგადოების უნდობლობა იდეოლოგიური კუთხით ნაკლებად იხსნება.

მეორე ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ საზოგადოება ეჭვებსა და უნდობლობას აცხადებს სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ მაინც ელოდება მისგან პრობლემების მოგვარებას. ეს პარადოქსული მოლოდინი ხაზს უსვამს რთულ ურთიერთობას საზოგადოებასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის. ეს განწყობა ინვესტიციათა მოქალაქის მიერ განკარგვის ინიციატივის გადავადებით დადასტურდა. მოსახლეობა არ ენდობა სააგენტოს, თუმცა რისკებზე პასუხისმგებლობის აღებას მას სთხოვს. პირველი ექსპერტის შეფასებით აღნიშნულ ინიციატივაზე საზოგადოების კრიტიკული რეაგირება ამტკიცებს ინსტიტუტებისადმი ტოტალურ უნდობლობას და საინფორმაციო კამპანიების არაეფექტურობას უსვამს ხაზს.

ორივე რესპონდენტი საკომუნიკაციო კამპანიის როლზე საუბრობს საზოგადოების სკეპტიციზმის დაძლევაში. ერთ-ერთი რეს-

პონდენტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ეფექტური კომუნიკაცია ვერ გადაჭრის უნდობლობას ინსტიტუტების მიმართ. მეორე ექსპერტი კი, თავის მხრივ, აღიარებს, რომ აღარ ადევნებს თვალს საკომუნიკაციო კამპანიებს, რაც, თავის მხრივ, მათ შეზღუდულ წვდომასა და ზეგავლენაზე მიუთითებს. მისი აზრით, სააგენტოს შესაძლებლობა ჰქონდა ინსტიტუციური უნდობლობა წარმატებულ საკომუნიკაციო პოლიტიკას გადაეწონა, თუმცა მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესმა რეფორმის შენარჩუნების ალბათობაც კი შეამცირა. პოლიტიკური ცვლილებების შემთხვევაში, არსებობს რიგი ჯგუფები, რომლებიც მის გაუქმებას ან რეორგანიზაციას გეგმავენ. თავად არ არის გაუქმების მხარდამჭერი და ფონდის ღიაობის პოლიტიკას უფრო ემხრობა, თუმცა პოლიტიკურ პარტიებში არსებული რადიკალური პოზიცია რეფორმის მიმართ მოსახლეობაში რეფორმის არასტაბილურად აღქმას იწვევს.

მედიის პოლარიზაცია, როგორც პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტი, ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების აღქმის ჩამოყალიბებაში. პირველი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მედია მიდრეკილია გააშუქოს რეფორმა კრიზისის ან უსიამოვნო სიახლის დროს, რაც ამძაფრებს ნეგატიურ განწყობებს. შერჩევითი ყურადღება მიმართულია კრიტიკულობის ზრდისკენ და არა უწყვეტ და დაბალანსებულ გაშუქებაზე, რაც ინფორმირებულობის ზრდას გამოიწვევდა. მეორე ექსპერტი დასძენს, რომ რუსული პროპაგანდა და ფართო პოლიტიკური პროცესები კიდევ უფრო ახდენს გავლენას საზოგადოებრივ აზრზე, განსაკუთრებით ფინანსურ სექტორში. მაგალითად, საზოგადოებაში არსებული განწყობა ქართული ინსტიტუტების წარუმატებლობასთან დაკავშირებით, რუსული პროპაგანდის პირდაპირი შედეგია (ონლაინ ინტერვიუ 7.06.2024). მეორე ექსპერტის წინადადება, რომ საპენსიო რეფორმა იყოს ნებაყოფლობითი და არა სავალდებულო, ეხმაურება პიროვნულ თავისუფლებას. მას სჯერა, რომ რეფორმა პოტენციურად უფრო საზოგადოების მოწონებას მოიპოვებს და არა იძულებით მონაწილეობის



მიღების უფლებას ინდივიდებს. ეს მიდგომა აბალანსებს პოლიტიკის უწყვეტობის აუცილებლობას ინდივიდუალური არჩევანის პატივისცემით. თუმცა, ის ასევე აღიარებს ამგვარი გადაწყვეტილებების რადიკალურობას, თუმცა ეს ფაქტორიც პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში პოლიტიკის მიღებისა და განხორციელების არასტაბილურ ხასიათზე მიუთითებს.

შესაბამისად, შეგროვებული მონაცემების ექსპერტებთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, სამი ძირითადი ფაქტორი გამოვლინდა, რომელიც დაგროვებით საპენსიო სისტემის მიმართ საზოგადოებრივ სკეპტიციზმს განაპირობებს. ესენია: ინსტიტუციური ნდობის ფაქტორი; საინფორმაციო ფაქტორი; უტილიტარული ფაქტორი (იხ. ცხრილი N2). ჩამოთვლილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფაქტორია, რომელიც შეგვიძლია სამ ძირითად ნაწილად გავყოთ: კორუფციის რისკი; არასტაბილური პოლიტიკური გარემო; საპენსიო სააგენტოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. საინფორმაციო ფაქტორები წარუმატებელი საკომუნიკაციო კამპანიებს, გამჭვირვალობის პრობლემურობას და ინფორმაციის არასაკმარისობას მოიცავს. დაბოლოს, უტილიტარულ ფაქტორში ლარის დევალვაცია და არასწორი ინვესტიციების რისკი გამოიყოფა.

კვლევის მიზანი იყო გამოეკვლია ფაქტორები, რომლებიც საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ საზოგადოებრივ სკეპტიციზმს განაპირობებენ. ამის მისაღწევად, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავდა ფოკუს ჯგუფებს, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მონაწილეებით და სიღრმისეული ინტერვიუებს ექსპერტებთან. გარდა ამისა, კვლევაში განხილულია ინსტიტუციური ნდობის თეორია და აკადემიური ლიტერატურა საქართველოს დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შესახებ.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ საზოგადოების სკეპტიციზმის ბუნების შესახებ კვლევის კითხვის განხილვამ სკეპტიციზმის რამდენიმე მიმართულება გამოავლინა. უპირველეს ყოვლისა, ის პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი უნდობლობითაა განპირობებული, რომელსაც ფინანსური კრიზისების წარუმატებლობის ისტორიული გამოცდილება უწყობს ხელს. გამოიკვეთა საპენსიო ფონდის მენეჯმენტის გაუმჭირვალობისა და პოტენციური უკანონო ანგარიშვალდებულების, კორუფციისა, სახსრების ბოროტად გამოყენების რისკების ზეგავლენა რეფორმის მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ რეფორმის სავალდებულო ბუნება ინდივიდის ფინანსურ თავისუფლებას არღვევს. სკეპტიციზმის განცდას კიდევ უფრო მთავრობის მხრიდან საპენსიო სისტემის სპეციფიკისა და უპირატესობების შესახებ მკაფიო კომუნიკაციის ნაკლებობა აძლიერებს. აღნიშნული მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს ინფორმაციის მიღმა ტოვებს. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ფაქტორია დაგროვილ თანხაზე წვდომა. თანხის ნაკლები ხელშესახებობა ართულებს ინდივიდებს საპენსიო სისტემის გრძელვადიანი უპირატესობების მხარდაჭერას. მოსახლეობა რეფორმის მიმართ ეკონომიკური პერსპექტივების გამოც კრიტიკულადაა განწყობილი. მათ საქართველოს ეკონომიკური გარემო და ვალუტის დევალვაციის რისკები სქემისადმი ოპტიმისტურად განწყობის საშუალებას არ აძლევთ.

ინსტიტუციური ნდობის თეორიული ჩარჩო აუცილებელია იმის გასაგებად, თუ რატომ არის რეფორმების წარმატება, როგორიცაა საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, დიდწილად საზოგადოების ნდობაზე დამოკიდებული. ინსტიტუციური ნდობა სოციალურ ერთიანობას და ეფექტურ მმართველობას ხელს უწყობს. რეფორმისადმი დიდი მხარდაჭერა გრძელვადიანად რეფორმის სტაბილურობასა და მდგრადობას განაპირობებს. წარმატებული რეფორმები მოითხოვს ინსტიტუტებს, რომლებიც არიან გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი. ეს ატრიბუტები კორუფციისა და არასწორი მენეჯმენტის შიშებს ამსუბუქებს და მოქალაქეებს უსაფრთხოების განცდას უნერგავს, რაც ფოკუსს ჯგუფებსა და ექსპერტებთან ინტერვიუებშიც დადასტურდა. როგორც ფრენსის ფუკუიამა მიიჩნევს, ნდობა და სოციალური კაპიტალი ინსტიტუციური ეფექტურობის საფუძველია. ქართულ კონტექსტში კი, ამ ნდობის აღდგენა საპენსიო რეფორმის წარმატებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის აღსადგენად აუცილებელია, ვინაიდან აღნიშნული რეფორმის განვითარებას ხელს უშლის.

კვლევის შედეგები ადასტურებს ინსტიტუციური ნდობის გადამწყვეტ როლს საქართველოს დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელებაში. ამ კვლევის ღირებულება ნდობის აღდგენისა და რეფორმების წარმატებით განხორციელებაში პოლიტიკის შემქმნელების ხელშეწყობაა. ვინაიდან კვლევის შედეგები ხელს უწყობს საქართველოს საჯარო პოლიტიკის სფეროს სპეციფიკის გააზრებას, მომავალი რეფორმების დაგეგმვაში მცირე წვლილის შეტანა ამ კვლევასაც შეუძლია.

ბიბლიოგრაფია

- Almond & Verba. (1963). *The Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Five Nations*. Princeton University Press.
- Bachmann, R. (2022). Trust and Institutions. In D. & Michalos, *Encyclopedia of Business and Professional Ethics* (pp. 1-6). Oxford: Springer.
- Baldwin, P. (1990). *The Politics of Social Solidarity Class Bases of the European Welfare State, 1875-1975*. Peter Baldwin: Cambridge University Press.
- Barr & Diamond. (2008). *Reforming Pensions: Principles and Policy Choices*. Oxford: Oxford University Press.
- Barr, N. (2012). *The Economics of the Welfare State*. Oxford University Press.
- Bentkowska, K. (2023). Trust and the quality of formal institutions. *EKONOMIA I PRAWO. ECONOMICS AND LAW*, 21-35.
- Bovens, M. (2007). Analyzing and Assessing Accountability: A Conceptual Framework. *European Law Journal*, 13(4), 447-468.
- Chikhladze, N. (2018). THE PENSION SYSTEM REFORM IN GEORGIA: ACHIEVEMENTS AND CHALLENGES. *Globalization and Business*.
- Cook, K. (. (2001). *Trust in Society*. New York: Russell Sage Foundation.
- Esping-Andersen, G. (1990). *The three worlds of welfare capitalism*. Princeton: Princeton University Press.
- Facchini; Massin & Brookes. (2024). The relationship between institutional quality, trust, and private savings. *Journal of Institutional Economics*, 1-28.
- Fukuyama, F. (1995). *Trust: The Social Virtues and the Creation of Prosperity*. New York: Free Press.
- Ghaniashvili, M. (2021). How the Pension System Responds to Pandemic Shocks: A Case Study of Georgia. *European Scientific Journal*, 17-25.
- Góra & Palmer. (2004). "Shifting Perspectives in Pensions." IZA Discussion Paper No. 1369. *Institute for the Study of Labor (IZA)*.
- Gruning & Hunt. (1984). *Managing public relations*. Holt: Rinehart and Winston.
- Hardin, R. (2002). *Trust and Trustworthiness*. Russell Sage Foundation.
- Heald, D. (2006). Transparency as an Instrumental Value. In H. & Heald, *Transparency: The Key to Better Governance?* (pp. 59-73). Oxford: Oxford University Press.

- Heckscher, C. (2015). *"Trust in a Complex World: Enriching Community"*. Oxford: Oxford University Press.
- Holzmann; Palmer & Robalino. (2012). *Nonfinancial Defined Contribution Pension Schemes in a Changing Pension World: Volume 1, Progress, Lessons, and Implementation*. World Bank Publications.
- Hwang, I. D. (2023). Which Type of Trust Matters?: Interpersonal vs. Institutional vs. Political Trust. *Economic Analysis*.
- Jacques, Leroux, & Stevanovic. (2021). Poverty among the elderly: the role of public pension systems. *International Tax and Public Finance*, 24–67.
- Joxhe, M. (2022). Trust in Institutions. In K. Zimmermann, *Handbook of Labor, Human Resources and Population Economics* (pp. 1–28). Oxford: Springer.
- Karalashvili, S. (2020). "SHADOW TAX" - ONE OF THE CHALLENGES OF MANDATORY ACCUMULATIVE PENSION SCHEME OF GEORGIA. *Ecoforum*.
- Kbiltsetskhlashvili & Chezha. (2020). Challenges and Perspectives of New Pension Fund Reform in Georgia: Need or Obligation for Population? . *Journal of Business*;
- Khatai Aliyev; Ilkin Gasimov; Hazi Eynalov. (2022). Institutional trust and life satisfaction in selected Post-Soviet countries: The mediating role of 'perceived relative income'. *Economics and Sociology*, 94-108.
- Kuitto , Madia & Podesta. (2023). Public Pension Generosity and Old-Age Poverty in OECD countries. *Journal of Social Policy*., 256-275.
- Lewicki & Bunker. (1996). Developing and Maintaining Trust in Working Relations. In T. R. Tyler, & R. M. Kramer, *Trust in Organizations: Frontiers of Theory and Research* (pp. 114-139). Sage.
- Matijević; Ostojić & Jovanović. (2022). INSTITUTIONAL TRUST AND PERCEIVED SENCE OF SECURITY – A COMPARATIVE ANALYSIS. *45 YEARS HIGHER EDUCATION IN THE AREA OF SECURITY – EDUCATIONAL CHALLENGES AND SECURITY PERSPECTIVES* (pp. 1-16). Skopje: University "Ss. Kliment Ohridski".
- Mishler & Rose. (2001). What Are The Origins of Political Trust? Testing Institutional and Cultural Theories in Post-Communist Societies. *Comparative Political Studies*, 30-62.

- Mitchell & Utkus. (2004). *Pension Design and Structure: New Lessons from Behavioral Finance*. Oxford: Oxford University Press.
- Norris, P. (1999). *Critical Citizens: Global Support for Democratic Governance*. Oxford : Oxford University Press.
- Peters & Pierre. (2004). *The Politicization of the Civil Service in Comparative Perspective: The Quest for Control*. . Routledge.
- Piotrowski & Van Ryzin. (2007). Citizen Attitudes Toward Transparency in Local Government. *The American Review of Public Administration*, 37(3), 306-323. .
- Putnam; Leonardi & Nanett. (1993). *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*. Princeton: Princeton University Press.
- Schedler, A. (1999). Conceptualizing Accountability. In D. & Schedler, *The Self-Restraining State: Power and Accountability in New Democracies* (pp. 13-28). Lynne Rienner Publishers.
- Schwarz, A. (2006, September). Pension System Reforms. *Social Protection Discussion Papers*.
- Sen, A. (1999). *Development as Freedom*. New York: Knopf.
- Tchiotashvili & Chitadze . (2024). *Compulsory pension insurance investment policy in Georgia*. Prague: Proceedings of the 5th International Scientific and Practical Conference «Concepts for the Development of Society's Scientific Potential».
- Tchiotashvili & Chitadze. (2023). CHALLENGES OF REFORMING THE ACCUMULATED PENSION SYSTEM IN GEORGIA. *International scientific journal «Grail of Science»*, 26-31.
- Tsetskhladze & Kontselidze. (2019). PENSION MAINTENANCE IN GEORGIA PROBLEMS PERSPECTIVES. *"MODERN PROBLEMS OF ECONOMY"- International Scientific And Practical Conference* (pp. 131-145). Batumi: Batumi Shota Rustaveli State University,.
- Urotadze, J. (2020). Challenges of Georgia's Pension System. *Polish Political Science Yearbook*, 172-186.
- Warren, M. (1999). *Democracy and Trust*. Washington DC: Georgetown University.
- მთავრობა, ს. (2018). *რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე*. Retrieved from [economy.ge: https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_reformaze.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_reformaze.pdf)

პარლამენტი, ს. (2018, ივნისი 8). *საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ*. Retrieved from matsne.gov.ge: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=9>

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2019, აპრილი 8). *გამოკითხულთა თითქმის ნახევარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას ემხრობა*. Retrieved from [www.transparency.ge: https://www.transparency.ge/ge/post/gamokitxulta-titkmis-naxevari-2020-clis-saparlamento-archevnebis-proporciuli-cesit-chatarebas](https://www.transparency.ge/ge/post/gamokitxulta-titkmis-naxevari-2020-clis-saparlamento-archevnebis-proporciuli-cesit-chatarebas)

დანართი N1: ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი

1. როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ?
2. რამდენად ენდობით მთავრობას საპენსიო სისტემის ეფექტურად და გამჭვირვალედ მართვაში?
3. როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად გააცნო მთავრობამ საზოგადოებას საპენსიო სისტემის საჭიროება, სპეციფიკა და სხვა დეტალები?
4. წარმატებული საკომუნიკაციო პოლიტიკის შემთხვევაში, გეგნებოდათ თუ არა ნდობა დაგროვებით საპენსიო რეფორმის მიმართ?
5. როგორია თქვენი შეხედულება საპენსიო სისტემის სავალდებულო ხასიათზე?
6. რამდენად დარწმუნებული ხართ მთავრობის უნარში საპენსიო ფონდების გონივრულად მართვასა და ინვესტირებაში?
7. როგორ ფიქრობთ, როგორ იმოქმედებს ეს საპენსიო სისტემა თქვენს ფინანსურ მომავალზე?
8. უპირატესობას ანიჭებთ საპენსიო შემოსავლის ალტერნატიულ მეთოდებს? თუ ასეა, რა არის ისინი და რატომ?

9. რა გაუმჯობესებები ან ცვლილებები გაზრდის თქვენს ნდობას საპენსიო სისტემის მიმართ?

**დანართი N2: ექსპერტთან სიღრმისეული ინტერვიუს
გზამკვლევი**

1. როგორია თქვენი აზრი საქართველოს დაგროვებით საპენსიო სისტემაზე?
2. როგორ შეაფასებდით საზოგადოებრივ სკეპტიციზმს საპენსიო სისტემის და მისი მართვის მიმართ?
3. რა იწვევს პენსიის დაგროვებითობის იდეისადმი კრიტიკულ განწყობას?
4. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებმა განაპირობა საპენსიო სისტემისადმი ნდობის ან უნდობლობის დონე? რომელი ფაქტორი არის მათ შორის მთავარი?
5. როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად გააცნო მთავრობამ საზოგადოებას საპენსიო სისტემის დეტალები?
6. რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით გამჭვირვალობისა და კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად? შეძლებს თუ არა წარმატებული საკომუნიკაციო ინსტიტუციური ნდობით გამოწვეული სკეპტიციზმის აღმოფხვრას?
7. რამდენად დარწმუნებული ხართ მთავრობის შესაძლებლობებში საპენსიო ფონდების გონივრულად მართვასა და ინვესტირებაში?

**დანართი N3: სიღრმისეულ ინტერვიუებში მონაწილე
ექსპერტები**

პირველი ექსპერტი - **მათე სოხაძე**; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის ეკონომიკური რეფორმების სამმართველოს ყოფილი უფროსი;

მეორე ექსპერტი - **ზურაბ ჭიაბერაშვილი**; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი; დაგროვებით საპენსიო სააგენტოს პირველი ბორდის ამრჩევი კომისიის წევრი; დაგროვებით საპენსიო სისტემის დამამტკიცებელი მოწვევის პარლამენტის წევრი;

Nikoloz Rogava

Public skepticism towards the cumulative pension system and its determining factors in Georgia.

The article examines the factors determining public skepticism toward Georgia's cumulative pension system. The purpose of the study is to reveal the reasons for the skeptical attitudes toward the reform of the cumulative pension system of Georgia. Qualitative research methods, focus groups, and expert interviews were used in the research. The paper draws on the theoretical framework of institutional trust and explains how institutional trust affects attitudes toward pension reform. Within the research framework, it is assumed that the main factor determining the skeptical attitude toward the accumulated pension system is the lack of trust in political institutions. The research significantly contributes to the Georgian academic field since few sources exist. As a result of the study, three main factors causing public skepticism toward the accumulative pension system of Georgia were identified. These are the institutional trust factor, utilitarian factor, and information factor. The most important are preconceptions dictated by trust in political institutions, shaped by historical experience and political and economic instability.

Keywords: public skepticism, accumulative pension system, institutional trust, political culture.